



## CT 174

## SILICATE-SILICONE AQUASTATIC

სილიკატურ-სილიკონის თაბაშირი, ქვის მსგავსი სტრუქტურა,

მარცვალი 1,5 მმ ან 2,0 მმ

თხელფენიანი დეკორატიული ბათქაში შიდა და

გარე სამუშაოებისთვის

მახასიათებლები

ჰიდროფობური, ჭუჭყისადმი მედეგი

ორთქლ-გამტარი

ზადალი წყლის შეწოვადობა

მდგრადი დაზიანების მიმართ

უაღრესად მდგრადი ამინდის პირობების მიმართ

BioProtect ფორმულა - მდგრადი სოკოების,

წყალმცენარეების და ოზის მიმართ

დანადგარით გამოყენების შესაძლებლობა

ხელმისაწვდომია Ceresit Colors of Nature®-ის სრულ პალიტრაში



### გამოყენების ფარგლები

Ceresit CT 174 აერთიანებს სილიკატური ბათქაშისა და სილიკონის ბათქაშის სიძლიერეს. ეს არის ორთქლის გამტარი, წყლის დაბალი ხარისხით შემწოვი და ჭუჭყისადმი რეზისტენტული (Double Dry ტექნოლოგია). საშუალებაა. CT 174 გამოიყენება თხელფენიანი ბათქაშის დასამზადებლად თბოიზოლაციის სისტემებში

ტრადიციულ ბათქაშზე, ბათქაშის სუბსტრატებსა დათაბაშირზე, თაბაშირ-მუყაოზე და ა.შ.

გირჩევთ CT 174 გამოიყენოთ, როგორც ფასადის თაბაშირი Ceresit Ceretherm ETICS-ში (გარე თბოიზოლაციის კომპოზიტური სისტემები) EPS-დაფების (გაფართოებული პოლისტირონის დაფები) და მინერალური ბამბის გამოყენებით. CT 174 ბათქაშის გამოყენება რეკომენდებულია გარე კედლებზე, სადაც საჭიროა მაღალი გამტარიანობა წყლის ძალიან დაბალი ხარისხით შთანთქმის და ჭუჭყისადმი მაღალი წინაღობის მიზნით (Double Dry ტექნოლოგია). ინტენსიური მუქი ფერის შემთხვევაში მასალის გამოყენება უნდა შემოიფარგლოს მცირე ფართობებით, მაგ. არქიტექტურული დეტალები. CT 174 დაცულია ბიოლოგიური დაბინძურებისგან მაგ. სოკოები, ობის და წყალმცენარეები (Bio Protect ფორმულა).

## სუბსტრატის მომზადება

CT174 შეიძლება დაიტანოთ მზიდ, გლუვ, მშრალ და სუფთა სუბსტრატებზე (ნებისმიერი იმ ნივთიერებისგან თავისუფალი, რომელიც ამცირებს ადჰეზიას, როგორცაა ცხიმი, ბიტუმი, მტვერი):

- ბეტონი (28 დღეზე მეტი ხნის, ტენიანობა -  $\leq 4\%$ )
- ცემენტი (3 თვეზე მეტი ხნის, ტენიანობა -  $\leq 4\%$ ) - დაგრუნტული Ceresit CT 16 საღებავით
- Ceresit CT 80, CT 85, ZU, CT 190 ხსნარით დამზადებული არმირებული საღებავი, დაგრუნტული CT 16-ით (ასაკი - 3 დღეზე მეტი) და CT 87 (2 დღეზე მეტი),
- თაბაშირის სუბსტრატები (მხოლოდ შენობების შიგნით) 1%-ზე დაბალი ტენიანობით
- ჯერ დაგრუნტული Ceresit CT 17 აგენტით და შემდეგ - CT 16 საღებავით;
- დაფები, თაბაშირ-ბოჭკოვანი დაფები და თაბაშირ-მუყაოები (მხოლოდ შენობების შიგნით), ფიქსირდება დაფის მწარმოებლების რეკომენდაციების შესაბამისად - ჯერ დაგრუნტული Ceresit CT 17 აგენტით და შემდეგ - CT 16 საღებავით;
- ძლიერი საღებავის ფენები (მხოლოდ შენობების შიგნით) - მტკიცე, სუბსტრატზე კარგი ადჰეზიით, დაგრუნტული საღებავით CT 16.

არათანაბარი და დაზიანებული სუბსტრატები ჯერ უნდა გათანაბრდეს და შეკეთდეს. ტრადიციული ბათქაშის და ბეტონის სუბსტრატების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას Ceresit CT 29 ბათქაშის შემავსებელი. უნდა მოიხსნას არსებული ჭუჭყიანი, დაბალი სიძლიერის ფენები, ასევე ელასტიური, კირის და წებოვანი საღებავები. შთანთქმელი სუბსტრატები უნდა შეიღებოს CT 17 აგენტით და შემდეგ - მინიმუმ 2 საათის შემდეგ CT 16 საღებავით. რეკომენდებულია ბათქაშის მსგავსი ფერის CT 16 საღებავის გამოყენება. CT 174 შეიძლება გამოყენებულ იქნას, როდესაც

დაგრუნტვის საღებავი CT 16 მთლიანად მშრალია. სუბსტრატიდან შემოსულმა ტენიანობამ შეიძლება გამოიწვიოს ბათქაშის დაზიანება, ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მუდმივი ტენიანობით საფრთხის ქვეშ არსებულ ოთახებში (ადგილებზე) შესრულებული და დატანილია ჰერმეტიზაციის ადექვატური ფენები.

## გამოყენება

კონტეინერის მთლიანი შიგთავსი ფრთხილად უნდა აურიოთ. საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ არაუმეტეს 1% სუფთა წყალი და კვლავ აურიეთ. არ გამოიყენოთ დაჟანგული კონტეინერები და ხელსაწყოები.

CT174 თანაბრად უნდა წაუსვათ სუბსტრატს მარცვლის სისქეზე ფოლადის გრძელი საგლუვი ქაფკით, რომელიც დამაგრებულია კუთხეში. შემდეგ მას უნდა მივცეთ ერთგვაროვანი სტრუქტურა წრიული მოძრაობებით პლასტმასის გრძელი საგლუვი ქაფკით, რომელიც ბრტყლად არის დამაგრებული, რათა მივიღოთ მჭიდროდ განლაგებული შემავსებლის მარცვლების სტრუქტურა.

არ დაასხუროთ წყალი ბათქაშს!

სამუშაო უნდა შესრულდეს ერთ ზედაპირზე შესვენების გარეშე, პროდუქტის ერთი და იგივე კონსისტენციის შენარჩუნებით. მუშაობის შეწყვეტის აუცილებლობის შემთხვევაში, თვითწებვადი ლენტი უნდა დაიტანოთ ადრე დაფიქსირებული ხაზის გასწვრივ, შემდეგ უნდა წაუსვათ ბათქაში, მისცეთ ფორმა სტრუქტურას და ჩამოჭრათ ლენტი მასზე დარჩენილი ბათქაშით. შესვენების შემდეგ დატანა უნდა გაგრძელდეს ფიქსირებული ადგილიდან (ადრე დატანილი ბათქაშის კიდე შეიძლება დაიცვათ თვითწებვადი ლენტით). ხელსაწყოები და ახალი ბათქაშის ლაქები უნდა ჩამოირეცხოს წყლით, ხოლო დამაგრებული ბათქაშის ნარჩენები შეიძლება მექანიკურად მოიხსნას. ბათქაშის განახლება უნდა მოხდეს CT 54, CTb48 ან CT49 სილიკონის საღებავით. დანადგარის გამოყენების შესაძლებლობა: რეკომენდებული დანადგარ -: Wagner PC 15, PC 830, SPG Baumaschinen PG 20.

## გაითვალისწინეთ

საღებავის დატანა უნდა განხორციელდეს მშრალ პირობებში - გარემოსა და სუბსტრატის +5 °C- +25 °C ტემპერატურისა და 80%-ზე დაბალი ტენიანობის პირობებში. ეს პროდუქტი არ უნდა იყოს შერეული სხვა ბათქაშთან, პიგმენტებთან, ფისებთან და შემკვრელებთან. ოთახებში, სადაც მასალა იქნა დატანილი, უნდა ნიავედებოდეს მანამ, სანამ სუნი არ გაქრება, ასევე, მათ გამოყენებამდე. თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ჩამოიბანოთ წყლით და მიმართოთ ექიმს. ეს პროდუქტი უნდა ინახებოდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

## სხვა ინფორმაცია

ბათქაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მზის დასხივების ზემოქმედების ქვეშ არსებულ კედლებზე სწრაფი გამრობის თავიდან ასაცილებლად. სანამ მთლიანად არ გაშრება, იგი დაცული უნდა იყოს წვიმისგან. რეკომენდებულია დამცავი ხარაჩოების გამოყენება. ბათქაშის მინერალური შემავსებლების გამო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ფერის განსხვავება, ერთი ზედაპირი შეილესება თითო კონტეინერზე დაბეჭდილი ერთი და იგივე წარმოების და ნომრის მასალით. ბათქაშის ერთიანი სტრუქტურის უზრუნველსაყოფად საჭიროა თანამშრომლების ადექვატური რაოდენობა ხარაჩოების სხვადასხვა დონეზე და სამუშაო ზონაში „სველი სველზე“ წესით დამუშავებისას. გახსნილი კონტეინერი ფრთხილად უნდა დაიხუროს, ხოლო მისი შიგთავსი რაც შეიძლება მალე იქნეს გამოყენებული.

## შეფუთვა

პლასტმასის კონტეინერები - 25 კგ.

## ტექნიკური მონაცემები

ბაზა: სინთეზური ფისების წყლის დისპერსია მინერალური და პიგმენტური შემავსებლებით

სიმკვრივე: დაახლ. 1.8 კგ/დმ<sup>3</sup>

საექსპლუატაციო ტემპერატურა: +5 °C-დან +25 °C-მდე

გახსნის დრო: დაახლ. 15 წთ.

წვიმისადმი წინაღობა: დაახლ. 24 საათი

წყლის ორთქლის გამტარიანობა: კატ. V1,  $S_d < 0,14$  მ EN 15824-ის მიხედვით

წყლის შთანთქმა: კატ. W3,  $w \leq 0,1$  [კგ/მ<sup>2</sup>სთ<sup>0,5</sup>] EN 15824-ის მიხედვით

ადჰეზია: 0.6 მპა EN 15824-ის მიხედვით

თბოგამტარობა:  $\lambda 0.61$  W/(m\*K) EN 15824-ის მიხედვით

დარტყმისადმი წინაღობა: კატ. I ან II ETAG 004-ის მიხედვით (დამოკიდებულია სისტემაზე)

წყლის შთანთქმა 24 საათის შემდეგ:  $< 0,5$  კგ/მ<sup>2</sup> ETAG 004-ის მიხედვით

წყლის ორთქლის გამტარიანობა:  $S_d \leq 1.0 \text{ m acc. ETAG 004}$

გადაბმა ფენებს შორის

დაძველების შემდეგ:  $\geq 0.08$  მპა ETAG 004-ის მიხედვით

ხანძრის კლასიფიკაციის

EN 13501-1-ის მიხედვით:

A2-s1;d0:

Ceresit Ceretherm Universal MW

B-s1, d0 in:

Universal EPS, Ceresit Ceretherm Popular, Ceresit Ceretherm Classic, Ceresit Ceretherm Premium, Ceresit Ceretherm Wool Classic,

Ceresit Ceretherm Wool Premium

B-s2, d0:

Universal XPS, Ceresit Ceretherm Impactum

ბუნებრივი რადიაციის შეფასება: აკმაყოფილებს #234/2003 ITB ინსტრუქციას - გვ.6.2.1, მინისტრთა საბჭოს 2007 წლის 2 იანვრის რეგლამენტის შესაბამისად - 3, გვ.1

სავარაუდო მოხმარება:

CT 174 მარცვალი 1,5 მმ დაახლ. 2,5 კგ/მ<sup>2</sup>

CT 174 მარცვალი 2.0 მმ 3.1-დან 3.4 კგ/მ<sup>2</sup>-მდე

ვარგისიანობის ვადა/შენახვა: წარმოების დღიდან 12 თვემდე, როდესაც ინახება გრილ პირობებში და ორიგინალ დაუზიანებელ შეფუთვაში.

დაიცავით ყინვისგან! დაიცავით მზის პირდაპირი დასხივებისგან!

ამ პროდუქტს ახლავს საცნობარო დოკუმენტები:

- BBA სერთიფიკატი No14/5142

- ირლანდიის შეთანხმების სერთიფიკატი No09/0340

- ევროპული ტექნიკური შეფასება (ETA) სისტემებში:

Ceresit Ceretherm სისტემა	Popular	Classic	Premium	Universal EPS	Universal XPS	Universal MW
ETA	08/0309	09/0014	08/0308	13/0535	13/0807	14/0127
სერტიფიკატი	1488-CPR-0382/Z	1488-CPR--0439/Z	1488-CPR--0363/Z	1488-CPR--0457/Z	1488-CPR-0456/Z	1488-CPR-0362/Z

DoP	00426	00420	00428	00433	00434	00435

ეროვნული ტექნიკური შეფასება სისტემებში:

Ceresit Ceretherm სისტემა	Reno
NTA	ITB-KOT-2018/0472 wydanie 1
სერტიფიკატი	020-UWB-0895/Z
NDoC	00444

გარდა აქ მოცემული ინფორმაციისა, ასევე მნიშვნელოვანია დაიცვათ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სავაჭრო ასოციაციების შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები და რეგულაციები, აგრეთვე, გერმანიის სტანდარტების ინსტიტუტის (DIN) შესაბამისი სტანდარტები. ზემოაღნიშნული მახასიათებლები ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებას და გამოყენებით ტესტირებას. გარანტირებული თვისებები და შესაძლო გამოყენება, რომელიც სცილდება ამ საინფორმაციო ფურცელში მითითებულ გარანტიებს, მოითხოვს ჩვენს წერილობით დადასტურებას. ყველა მოცემული მონაცემი მიღებულ იქნა გარემოსა და მასალის +23°C ტემპერატურისა და 50% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სხვა კლიმატურ პირობებში გამკვრივება შეიძლება დაჩქარდეს ან შეფერხდეს.

აქ მოცემული ინფორმაცია, კერძოდ, რეკომენდაციები ჩვენი პროდუქციის დამუშავებისა და გამოყენების შესახებ, ეყრდნობა ჩვენს პროფესიულ გამოცდილებას. ვინაიდან მასალები და პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეული სავარაუდო გამოყენების მიხედვით და, შესაბამისად, აღნიშნული სცდება ჩვენი გავლენის სფეროს, ჩვენ დაბეჯითებით გირჩევთ, რომ თითოეულ შემთხვევაში ჩაატაროთ სათანადო ტესტები, რათა შეამოწმოს ჩვენი პროდუქტების ვარგისიანობა მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. იურიდიული პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს ამ მონაცემთა ფურცლის შინაარსის ან რაიმე სიტყვიერი რჩევის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ჩვენი მხრიდან ადგილი არ ექნება განზრახ არამართლზომიერ ქმედებას ან უხეშ დაუდევრობას. ტექნიკური მონაცემების ეს ფურცელი ანაცვლებს ამ პროდუქტთან დაკავშირებულ ყველა წინამორბედ გამოცემას.



Henkel CEE

Erdbergstrasse 29

1030 ვენა [www.ceresit.com](http://www.ceresit.com)

Quality for Professionals